# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ანგარიში

**2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით წარიმართა:**

I. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;
II. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;
III. სასწავლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების) შიდა საუნივერსიტეტო შეფასება;
IV. გამოკითხვის ახალი კითხვარების შემუშავება;
V. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობა, მათთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება;
VI. პასუხი კორესპონდენციებზე.

## I. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადება

2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შემდეგი დოკუმენტები მოამზადა:

- თსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 ივლისის აკადემიური საბჭოს № 249 დადგენილებაში "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ" ცვლილებები და დამატებები;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 ივლისის აკადემიური საბჭოს № 250 დადგენილებაში "სადოქტორო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის შესახებ" ცვლილებები და დამატებები;
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქცია;
- შემოერთებული უნივერსიტეტების პროგრამების თსუ პროგრამებთან თავსებადობა;
- საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები;
- 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო პროგრამების მონიტორინგი;
- 2011-2012 სასწავლო წლის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, დიპლომირებული მედიკოსის /სტომატოლოგის პროგრამები.

## II. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში

2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა თსუ აკადემიური საბჭოსთვის შემდეგი დადგენილებების პროექტები მოამზადა:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის არჩევითი სასწავლო კურსის "აკადემიური წერის" სილაბუსის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 5, 12.01.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/52011;
- "2009-2010 სასწავლო წელს ჩარიცხული ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის უცხოური ენების სწავლების დარეგულირების შესახებ" სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის № 237 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე (დადგენილება № 6, 12.01.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/62011;

- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010-2011 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს № 65/2010 დადგენილებით დამტკიცებულ 2010-2012 სასწავლო წლების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში და “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010-2011 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამების დამტკიცების შესახებ” აკდემიური საბჭოს № 64/2010 დადგენილებით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008-2012, 2009-2013, 2010-2014 სასწავლო წლების ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ (დადგენილება № 7, 12.01.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/72011;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამების დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 8, 12.01.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/82011;
- სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის და ეკონომიკის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებში (ყოფილი სსიპ – “თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის” და შპს – “საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის” ბიზნესის და მართვის მიმართულების და ეკონომიკის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებში) ცვლილებების შეტანის შესახებ (დადგენილება № 9, 31.01.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/92011;
- სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის 2010-2014, 2009-2013, 2008-2012 სასწავლო წლების საბაკალავრო პროგრამებზე (ყოფილი სსიპ – “თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის” და შპს – “საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის” ბიზნესის და მართვის მიმართულების საბაკალავრო პროგრამებზე) და 2010-2012 სასწავლო წლების ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამებზე (ყოფილი სსიპ – “თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის” ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე) ჩარიცხული სტუდენტებისათვის 2010-2011 სასწავლო წლების გაზაფხულის სემესტრში 35 ECTS კრედიტის სავალდებულოდ აღების შესახებ (დადგენილება № 10, 31.01.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/102011;
- სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ახლადშემოერთებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ყოფილი სსიპ – “თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის” და შპს – “საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის”) საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის საკითხი (დადგენილება № 13, 07.02.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/132011;
- ყოფილი სსიპ – “თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის” და შპს – “საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის” საბაკალავრო პროგრამებთან

დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე (დადგენილება № 19, 07.03.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/192011;

- “სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010-2011 სასწავლო წლის პროფესიული უმაღლესი, საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის საგანმნათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2010 წლის 25 ივნისის № 64 დადგენილების № 2 დანართით დამტკიცებულ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმებში დამატებების შეტანის შესახებ (დადგენილება № 20, 07.03.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/202011;
- “სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010-2011 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2010 წლის 25 ივნისის № 65 დადგენილების № 1 დანართით დამტკიცებულ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმებში დამატებების შეტანის შესახებ (დადგენილება № 21, 07.03.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/212011;
- “სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ახლადშემოერთებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ყოფილი სსიპ – “თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის” და შპს – “საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის”) საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის შესახებ № 13/2011 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ (დადგენილება № 22, 16.03.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/222011;
- ყოფილი სსიპ – “თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის” (თეუსუ) დოქტორანტურის პროგრამის თავსებადობის შესახებ (დადგენილება № 24, 16.03.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/242011;
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 25, 16.03.2011), იხ.: http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/252011;
- “სადოქტორო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის ახალი რედაციის დამტკიცების შესახებ” სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 ივლისის № 250 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე (დადგენილება № 26, 16.03.2011), http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/262011;
- “დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ” სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 ივლისის № 249 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე (დადგენილება № 27, 16.03.2011), http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/272011;

- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010/2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო პროგრამების დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 32, 11.04.2011), http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/322011;
- "საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა" (დადგენილება № 47, 25.05.2011), http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/472011;
- მათემატიკის მიმართულების სასწავლო კურსის სილაბუსის ფორმის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 55, 13.06.2011), http://www.tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/552011

## III. საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო შეფასება

2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებულ იქნა 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო პროგრამები, 2011-2012 სასწავლო წლის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები. აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულ იქნა აკადემიურ საბჭოზე და განთავსდა ვებ-გვერდზე.

## IV. გამოკითხვის ახალი კითხვარების შემუშავება

2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა გამოკითხვის ახალი კითხვარები, რომლებიც შეეხება სასწავლო კურსისა და სასწავლო პროგრამის შეფასებას. აგრეთვე კითხვარები კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მდგომარეობის გასარკვევად. კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებმა და თსუ ფაკულტეტების პროფესორებმა.

## V. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობა, მათთვის ინფორმაციის მიწოდება

2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტუდენტთა რეესტრში არსებული ხარვეზების გასწორებას. კერძოდ,

თსუ-ს იმ საგანმანათლებლო პროგრამების დაფიქსირებას, რომლებიც თავის დროზე გარკვეული მიზეზების გამო ვერ დაფიქსირდა ან არასწორად დაფიქსირდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბაზაში. 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს მოიპოვოს სსიპ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან თანხმობა ყველა იმ უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე, რომელიც თსუ-ში ხორციელდება. 2011 წლის ივნისამდე თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ უნდა იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი. 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა წარუდგინოს გამოცდების ეროვნულ ცენტრს ბაკალავრიატში სტუდენტთა მიღების ანკეტა-კითხვარი.